

საქართველოს კანონი

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N11-12, 14.03.1998, გვ. 42) მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საკრებულოს თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე, მუდმივი კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იღებენ გასამრჯელოს. მათ უფლება არა აქვთ ეკავოთ რაიმე სხვა თანამდებობა, ეწეოდნენ სამეწარმეო ან სხვა საქმიანობას, „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი შემთხვევების გარდა.,,

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.